2018 წლის სწავლა-სწავლების განაცხადი

1. უნივერსიტეტის აკადემიური საზოგადოება იზიარებს მოსაზრებას, რომ სწავლება ნიშნავს შთაგონებას, წახალისებას, სტიმულირებას და ხელშეწყობას, რაც ასევე შეიძლება მოითხოვდეს ცოდნის გაზიარებას, ანუ [იცოდეს] თუ როგორ; ამასთან სწავლა უპირატესად კვლევას ნიშნავს (კრიტიკული აზროვნების და დასკვნის უნარის გასავითარებლად), რაც საბოლოოდ ზრუნვისა და წვლილის შეტანის მნიშვნელობის გაცნობიერებაში გამოიხატება;
2. სტუდენტების ადრეული ჩართულობა კვლევის პროცესში პრიორიტეტად რჩება და შეიძლება კარგად იყოს მხარდაჭერილი კვლევითი კლასტერების განვითარებით „ჰაბებად“, როგორც ინტერესების გამაერთიანებელი ბორბალი, რომელიც მხარს უჭერს და ასტიმულირებს მოძრაობას;
3. მსოფლიო მასშტაბით გაიზარდა სტუდენტთა რიცხვი, რომლებიც წყვეტენ მიიღონ უმაღლესი განათლება და ხელმისაწვდომი რესურსების მრავალფეროვნება (მათ შორის ელექტრონული რესურსებისა და ლიტერატურის), ქმნის მომავალი განათლების განსხვავებულ პარადიგმას - შესაბამისად, უნივესრიტეტის აკადემიური საზოგადოება მხარს დაუჭერს ელექტრონული საზოგადოების განვითარებას;
4. პერსონალის ურთიერთდაკვირვება და რჩევების გაზიარება (peer-observation and - advice), ხელს უწყობს ხედვების გაცვლას შეუსაბამობების გამოსავლენად და ახალისებს პედაგოგებს მიერ შეფასების მეთოდოლოგიის დახვეწას, თუ მათ სურთ გავლენა მოახდინონ სტუდენტების სწავლის პროცესზე - ბევრი სტუდენტი კვლავ სწავლობს შეფასებაზე ორიენტირებულად;
5. მონაცემთა საინფორმაციო დაფის (data dashboard), როგორც „ცოცხალი“ დოკუმენტის შექმნა, რომელიც განახლდება ყოველ ჯერზე, როდესაც ახალი მონაცემები მზად იქნება ანალიზისთვის და ხელმისაწვდომი გახდება ყველა დაინტერესებული მხარისათვის - აკადემიური საზოგადოებისთვის, სტუდენტებისთვის, კურსდამთავრებულებისთვის და დამსაქმებლებისათვის მისასალმებელი და დასაფასებელია;
6. უნივერსიტეტის აკადემიური საზოგადოება აცნობიერებს მიზანშეწონილობას, შეისწავლოს დამატებითი შესაძლებლობები „სწავლა-სწავლებით“ და „სწავლა-კეთებით“ გამოცდილების განსავითარებლად, რათა კიდევ უფრო დაუახლოვდეს სტუდენტთათვის შეთავაზებული პროფილები და კარიერული გზები დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამის დამტკიცების ფორმა კიდევ უფრო უნდა დაიხვეწოს დასაქმების კრიტერიუმებზე მეტი აქცენტით, რაც განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს შესაბამისი ბაზრის კვლევასა და/ან დასაქმების მრჩეველთან კონსულტაციებზე;
7. უნივერსიტეტის გუნდი ცდილობს შეინარჩუნოს ცოდნის გაცვლა და გამოცდილების გაზიარება პერსონალის მობილობის გზით და ამავდროულად გამოაცხადოს პერსონალის შესარჩევად საერთაშორისო კონკურსები აკადემიური გუნდის ინტერნაციონალიზაციის უზრუნველსაყოფად;

8. 2018 წლის კურსდამთავრებულთა ღონისძიებაზე სწავლებაში წარმატების დაჯილდოების ცერემონიაც უნდა გაიმართოს, სადაც სტუდენტები მოახდენენ ნომინირებას და ხმას მიცემენ მათ პროფესორებს სხვადასხვა კატეგორიაში.